

ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი ტესტი ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებში (CERTUS)

ტესტის მიზანი

ტესტი ადგენს, თუ რა დონეზე ფლობს საგამოცდო პროცესის მონაწილე ენის გრამატიკულ სტრუქტურებსა და ლექსიკას, ასევე იმას, თუ რამდენად აქვს განვითარებული კითხვის, მოსმენის, ლაპარაკის და წერის უნარები. ენის ფლობის დონე განისაზღვრება საერთო ევროპული ჩარჩოს (Common European Framework of Reference for Languages) მიერ დადგენილი დონეებთან შესაბამისობაში - C1 (მაღალი), B2 (საშუალოზე მაღალი), B1 (საშუალო), A2 (საშუალოზე დაბალი), A1 (ელემენტარული). შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ სერტიფიკატში აისახება, თუ რა დონეზე ფლობს შესაბამისი პირი მოცემულ ენას.

ტესტის ნაწილები

ტესტი შედგება ოთხი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია: 1. კითხვა და ენის გამოყენება; 2. მოსმენა, 3. ლაპარაკი, 4. წერა. საგამოცდო პროცესის მონაწილეს შეუძლია ჩააბაროს როგორც ტესტი მთლიანად, ისე მისი ცალკეული ნაწილი/ნაწილები. ტესტის ნაწილების ჩაბარება შეიძლება ნებისმიერი თანმიმდევრობით.

- ენის გამოყენებისა და კითხვის ნაწილი ამოწმებს გრამატიკული სტრუქტურებისა და ლექსიკის ცოდნას, ასევე იმას, თუ რამდენად აქვს განვითარებული საგამოცდო პროცესის მონაწილეს წაკითხვის გააზრების უნარი. ტესტის ეს ნაწილი შედგება სხვადასხვა სირთულის (მარტივიდან რთულისკენ A1 - C1) არჩევითი პასუხების მქონე 100 დავალებისგან. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 0.25 ქულით. ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულა არის 25.

- მოსმენის ნაწილი ამოწმებს უცხო ენაზე მოსმენის უნარს. მოსმენის დავალებებზე მუშაობისას საგამოცდო პროცესის მონაწილე ისმენს სხვადასხვა სირთულისა და შინაარსის ტექსტებს და პასუხობს დასმულ შეკითხვებს. დავალებები ამ შემთხვევაშიც არჩევითი პასუხების მქონეა. ტესტის ეს ნაწილი შედგება 25 დავალებისგან. ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულა არის 25.

- ლაპარაკის ნაწილი ამოწმებს უცხო ენაზე ლაპარაკის უნარს. საგამოცდო პროცესის მონაწილეს ეძლევა 5 სხვადასხვა სირთულის და შინაარსის შეკითხვა, რომელთაც მან განსაზღვრული დროის მონაკვეთში უნდა უპასუხოს. ეს დავალება ფასდება 25 ქულიანი შეფასების სქემით, რომელიც იძლევა საგამოცდო პროცესის მონაწილის არჩეულ უცხო ენაზე ლაპარაკის დონის განსაზღვრის საშუალებას.

- წერის ნაწილი ამოწმებს უცხო ენაზე წერის უნარს. საგამოცდო პროცესის მონაწილეს ეძლევა კონკრეტული თემა, რომელიც მან 45 წუთის განმავლობაში უნდა დაწეროს. ეს დავალება ფასდება 25 ქულიანი შეფასების სქემით, რომელიც იძლევა საგამოცდო პროცესის მონაწილის უცხო ენაზე წერის დონის განსაზღვრის საშუალებას.

ტესტირება ჩატარდება კომპიუტერულად. კითხვის/ენის გამოყენების და მოსმენის ნაწილების შედეგებს საგამოცდო პროცესის მონაწილე გაიგებს მყისიერად, ტესტის დასრულებისთანავე, ხოლო ლაპარაკისა და მოსმენის ნაწილების შედეგები ცნობილი გახდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ტესტირების შედეგების მიხედვით დადგინდება, თუ რა დონეზე ფლობს საგამოცდო პროცესის მონაწილე ენას, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაში იქნება უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს მიერ დადგენილ დონეებთან: C1, B2, B1, A2, A1 (ელემენტარული).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 100 (25-25 ქულა მისი თითოეული ნაწილისთვის)

ტექსტის სტრუქტურა და ქულების განაწილება

ტექსტის ნაწილები	დავალების სახე/ტიპი	საკითხების რაოდენობა	ქულა 1 საკითხ	მაქსიმალური ქულა	დრო
კითხვა და ენის გამოყენება (გრამატიკა/ლექსიკა).	სხვადასხვა სირთულის (A1-C1) წინადადებები და ტექსტები	100	0. 25	25	1 სთ.
მოსმენა	სხვადასხვა სირთულის (A1-C1)	25	1	25	30-35 წთ.
ლაპარაკი	სხვადასხვა სირთულის (A1-C1) ხუთი შეკითხვა	5		25	15 წთ.
წერა	1 თემა	1		25	45 წთ.
მაქსიმალური ქულა მთლიანი				25	100

ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერა

C1 (მაღალი) - მოსმენა: შეუძლია საუბრის შინაარსის გაგება რთული და კომპლექსური თემების შესახებ, თუმცა შესაძლოა ხანდახან დეტალების დაზუსტება დასჭირდეს; კითხვა: შეუძლია რთული და ვრცელი ტექსტების გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექსტის რთული მონაკვეთების გადაკითხვის შესაძლებლობა მიეცემა; წერა: შეუძლია საკუთარი აზრის გარკვევით და ზუსტად გამოხატვა; ლაპარაკი: შეუძლია საკუთარი აზრის თავისუფლად და სპონტანურად გადმოცემა.

B2 (საშუალოზე მაღალი) - მოსმენა: აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიგოს, თუ თანამოსაუბრე არ იყენებს რთულ ფრაზებს; კითხვა: აქვს მდიდარი ლექსიკა, თუმცა ნაკლებად გამოყენებადი ფრაზების წაკითხვისას ტექსტის გაგება უჭირს; წერა: შეუძლია საკუთარი აზრის ანდა რაიმე ამბის შთამბეჭდავად გადმოცემა; ლაპარაკი: შეუძლია ლაპარაკი თავისუფლად, სპონტანურობის გარკვეული ხარისხით.

B1 (საშუალო) - მოსმენა: აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიგოს, თუ საუბარი მისთვის ნაცნობ თემატიკას ეხება და მეტყველება მკაფიო და სტანდარტულია; კითხვა: მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიგოს ფაქტობრივი ინფორმაციის შემცველი ტექსტები, თუ თემატიკა მის საქმიანობას ანდა ინტერესებს უკავშირდება; წერა: შეუძლია პირადი ხასიათის წერილის ან მცირე ტექსტის შექმნა და საკუთარი მოსაზრების მარტივად, მაგრამ თანმიმდევრულად გამოხატვა; ლაპარაკი: შეუძლია სხვადასხვა სიტუაციაში მარტივი, მაგრამ მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენება.

A2 (საშუალოზე დაბალი)

მოსმენა: აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიგოს, თუ თანამოსაუბრე მეტყველებს ნელა და გარკვევით; კითხვა: შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი ტექსტები, რომლებშიც განსაკუთრებით ხშირად გამოყენებადი ლექსიკური ერთეულები გვხვდება; წერა: შეუძლია მოკლე, მარტივი და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ტექსტების შექმნა; ლაპარაკი: შეუძლია ილაპარაკოს მარტივი და ნაცნობი თემების შესახებ, კომუნიკაცია ერთფეროვანი და მარტივია.

A1 (დაბალი) - მოსმენა: შეუძლია მიჰყვეს ძალიან ნელ, აუჩქარებელ და დიდი პაუზების მქონე საუბარს; კითხვა: შეუძლია გაიგოს ძალიან მოკლე, მარტივი ტექსტები და ის ცალკეული წინადადებები, რომლებშიც მისთვის ნაცნობი სიტყვები ან მარტივი ფრაზებია გამოყენებული; წერა: შეუძლია წერილობით მოითხოვოს და/ან გადასცეს ზოგადი ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ; ლაპარაკი: შეუძლია ილაპარაკოს მარტივი თემების შესახებ, ლაპარაკობს ნელა, იყენებს მარტივ ენობრივ კონსტრუქციებს, იმეორებს დებულებებს.